



ბორჯომი

22 დეკემბერი

ხუთშაბათი

2022 წელი

№52 (9262)

ფასი 40 თეთრი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

საქართველო სამხედრო სამსახური გაცხადდა თავდაცვის სამინისტროს სისტემაში!



საქართველო სამხედრო სამსახური გაცხადდა მთლიანად თავდაცვის სამინისტროს სისტემაში შეიქმნება ეფექტიანი სისტემა და პროგრამა იქნება მინიმუმ 80 მილიონ ლარზე მეტი და 2025 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდება, ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ლარიაშვილმა 12 დეკემბრის მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

პრემიერ-მინისტრის თქმით, თავდაცვის ახალი კოდექსი დიდი სახლზე იქნება და მნიშვნელოვანი რეფორმები დაიწყება თავდაცვის სამინისტროში.

ირაკლი ლარიაშვილმა აღნიშნა, რომ თავდაცვის კოდექსზე მუშაობა დიდი ხანი მიმდინარეობდა, დეტალურად შეისწავლეს უცხო ქვეყნების გამოცდილება და საუკეთესო პრაქტიკები დაამუშავეს. მთავრობის მეთაურმა ასევე ისაუბრა „გირჩის“ მოგონილ პროგრამაზე, რომელიც რეალურად ახალგაზრდებს აბნედა და თავაზობდა ალტერნატიულ სამსახურს.

„ფიქრობ, ქვეყანაში არ მოიქმნება პატრიოტი, რომელიც ამ საკითხზე არ წუხს, არ განიცდის და არ ნერვიულობს. აი, ეს მავნებელი, „გირჩის“ მოგონილი უმსგავსო, ანტიეროვნული, ანტისახელმწიფოებრივი რაღაც პროგრამა, რომელიც რეალურად ახალგაზრდებს აბნედა და თავაზობდა ალტერნატიულ სამსახურს. ეს ჩვენ კარგად ვიცით, რომ იყო ფიქტიური, ვითომ რაღაც რელიგიური სამსახური. ეს იყო ყველაზე დიდი მკრეხელობა და სისაბამელი, პირდაპირ დაგარქმევ ამ სახელს. არ შეიძლება ამაზე თვალი დაგვუყოთ და ჩვენ ვაღიარებთ, რომ ეს საკითხი მოვამზადეთ და მოვამზადებთ კიდევ“.

ალმონიფიცირება საკანონმდებლო ხარვეზი, რაც გამოირჩევა არაკეთილსინდისიერი და ფიქტიური რელიგიური ორგანიზაციების არსებობის შესაძლებლობებს.

„ალმონიფიცირება ეს საკანონმდებლო ხარვეზი, რომელიც მანამდე პატრონმა ზურაბ ჯაფარიძემ, დიდი პატივით ამ მთავრობის სხდომაზე მისი გვარის სხენება, მაგრამ ვიტყვი, რომ ეს იყო ყველაზე დიდი მავნებლობა, რომელიც მან ჩაიდინა ქვეყნის ახალგაზრდობის და ჩვენი მომავალი თაობის წინაშე, ამიტომ,“

დაიხურება ეს ხარვეზი, აღმოიფხვრება და გამოირიცხება მათი არაკეთილსინდისიერი, ეს ფიქტიური, ვითომ რელიგიური ორგანიზაციების შესაძლებლობა. ეს საკითხი გავლილი გვაქვს ჩვენ ასევე საპატრიარქოსთანაც და, შესაბამისი ჩანაწერის მიხედვით, აღნიშნული საკითხი მოგვარდება ერთხელ და სამუდამოდ. ჩვენ აღარ მივცემთ ამ მავნებლებს ჩვენი ახალგაზრდა, ჯანსაღი თაობის არასწორ გზაზე დაყენების საშუალებას. ადამიანს ეუბნებოდნენ პირდაპირ, რომ თავი აარიდე შენს მთავარ კონსტიტუციურ მოვალეობასო. ამაზე დიდი მავნებლობა და მტრობა შენი ქვეყნის, რა შეიძლება იყოს? ასე რომ, ეს საკითხიც მოგვარებულია, - აღნიშნა პრემიერმა.

პრემიერ-მინისტრმა ასევე განაცხადა, რომ 23 წლამდე სტუდენტები, რომელთაც გადაწყვეტენ, რომ სამხედრო წვრთნა გაიარონ სტუდენტობის პერიოდშივე, 4 წლის ვადაში შეეძლება პროგრამაში ჩართვა, წელიწადში დაახლოებით 1-თვიანი ინტენსიური მომზადების პროგრამა იქნება სამხედრო ბაზებზე და იდენტურ, ძირითად სამხედრო მომზადების პროგრამას გაივლიან.

პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, პროგრამის ამოქმედებიდან 4 წლისთავზე, წელიწადში დაახლოებით 10 000 წევრად იქნება მოამზადებული.



დეგის თავდაცვის სამინისტრო, პროგრამის სრულად ამოქმედების შემდეგ კი, 10 წელიწადში, მინიმუმ 100 000-კაციანი რეზერვი ეყოლება ქვეყანას.

ირაკლი ლარიაშვილმა თავდაცვის ახალ კოდექსზე საუბრისას ასევე აღნიშნა, რომ სამხედროებისთვის ბინების მშენებლობა სახელმწიფოს ვალდებულება იქნება, დაჭრა-დასახიჩრების შემთხვევაში, დახმარება 7000 ლარის ნაცვლად - 20 000 ლარო, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპვის შემთხვევაში კი ერთჯერადი დახმარება 30 000 ლარი იქნება.

ირაკლი ლარიაშვილის თქმით, პრემიერ-მინისტრის ბიძის, ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის დაღუპვის შემთხვევაში, კომპენსაცია 100 000 ლარით განისაზღვრება, და ეს აჩვენებს სელისუფლების დამოკიდებულებას სამხედროებისა და პოლიციელების მიმართ.

მიმდინარეობს ბინათმესაკუთრეთა შენობის აღდგენა

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების პროექტის ფარგლებში, ბორჯომში, გურამიშვილის №4 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის დაზიანებული კედლების გამაგრების სამუშაოები მიმდინარეობს.

შენობის აღდგენა-გამაგრების სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება. სამუშაოებს შპს „მეი თაუნ“ ასრულებს.



ბორჯომის მუნიციპალიტეტში სამი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავი შეიცვალა.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების პროექტის ფარგლებში, გამსახურდიას ქუჩის №2-ში საცხოვრებელი სახლის სახურავი შეიცვალა, ხოლო თორის ქუჩის №58 და №60-ში სამუშაოები დასასრულს უახლოვდება.

პროექტი ბორჯომის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა.

ბორჯომის მუნიციპალიტეტში სახურავების გადახურვის პროგრამა რამდენიმე წელია ხორციელდება და მომავალშიც გაგრძელდება.



პატრიარქის ახალი დაწვრილი ლიცია

დაწვრილი მოკლე ლიცია, სადაც ვთხოვთ უფალს, რომ სიმშვიდე მოგვცეს, დაამშვიდოს ეს ცხოვრება ჩვენივე, - განაცხადა პატრიარქმა ილია მიორამ. როგორც პატრიარქმა ილია მიორამ აღნიშნა, ლიცია დღე-იდან ტაძრებში იქნება და ის მრევლმა ტაძარში, სახლში თუ სამსახურში უნდა წაიკითხოს. ლიცია: „მამაო ჩვენი, ღმერთო აბრაამისა ისააკისა და იაკობისა დიდება და მადლობა შენი უფლისა ჩვენიას იესო ქრისტეს სახელით, მისი მეოხებითა და შუამდგომლობით გვედრებოთ გარდაბოილივე ზეცით მოწყალეო, შეგვიდევნე შეცოდებანი ჩვენი, მოგვიცაღალა ბოროტისა და ბოროტისა და სომართლის გზით სვლისა მოგვიცაღალა შენი მორჩილებისა.“



ვლისა შენისასა, არამედ გვიხაროდეს ორსავე სოფელსა შინა და მარად გადიდებდეთ შენი მამასა, ძესა და წმინდასა სულსა. ამინ.“ „ღმერთო დალოცოს ჩვენი ხალხი, მთელი მსოფლიო. ღმერთო ისმინოს ლიცია, ამინ. ეს ლიცია დაწვრილი ტაძრებში და სადაც არ უნდა იყო ტაძარში, სახლში თუ სამსახურში, ეს ლიცია წაიკითხეთ და ღმერთი შეისმინოს თქვენს ლიციას.“

დაგვილოცე ოჯახები, შვილები და შვილიშვილები, ჩვენი ახლობლები, დაგვილოცე საქართველო და მთელი მსოფლიო. შენი ვართ, გაცხოველე ჩვენ. შეგთხოვთ უფალო დაამშვიდე ცხოვრება ჩვენი. გვისსენ ჭირთა და სენთაგან და მრავალფეროვან განსაცდელთაგან. შეგთხოვთ უფალო, არა უბედურებულყო ღმერთო მის მეორედ მოს-

უკვდავოთ პატრიარქის ღვინო

საქართველოს პატრიარქის მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმსაფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მიორის, დაბადების 90 წლის იუბილესთან და აღსაყდრების 45 წლისთავთან დაკავშირებით, ილია მეორის შემოწმებული სახელზე „შენიროთ“ 13 ასურული მამის მშენებარე ეკლესიას, „გუმბათის ჯვარი“ (თბილისი, ბაგების ტერიტორია). მოვუწოდებთ ქართული გვარების წინამძღოლთა დარბაზის გამგებებს, ორგანიზება გაუწიონ გვარის წარმომადგენლებმა ამ დიდ საშვილიშვილო საქმეში აქტიური მონაწილეობა მიიღონ და შეძლებისდაგვარად შენიროთ „გუმბათის ჯვარის“ მშენებლობას, მათთვის მისაღები თანხით.

რეკვიზიტია GE82TB7957436070100003 - სრულიად საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზი-კავშირი. კომპიუტერი ჯეგალ ადამაშვილი - 599 281 942; შოთა ზედგინიძე - 577 571 257.

სრულიად საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზის განცხადება.

გაეცით ყველას!



25 დეკემბერს, 18 საათიდან, ბორჯომში მარჯვენა ქუჩაზე სახელმწიფო სპორტის (პაპარა პარკი) მიწვევით წინასახალწლო ღონისძიებაზე - ერთად ავათხოთ ქალაქის მთავარი ნაპის ხე! თქვენ გელით მოკალაური ანსამბლის „მამაპას“ სახალწლო ქონსერტი. გელით ყველას! ერთად შევიქმნათ წინასახალწლო განწყობა!

გაიონათ, იყოთ, იათოთ გაზეთი „ბორჯომი“!

წლის ბოლო თვე - დეკემბერი დადგა. ეს თვე გადამწყვეტია ბუნებრივი მედიისათვის. ამ თვეში ეგრება საფუძველი მომავალი წლის წარმატებით დაწყებას, ანუ ტრადიციულ გაზეთ „ბორჯომის“ ხელმოწერა-გავრცელება- გადარჩენას.

ბუნებრივია, გაზეთის ხელმოწერა სიმრავლე გადამწყვეტია. მთავარია საუკუნის მიტანებულმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა, კულტურულმა, საგანმანათლებლო და საინფორმაციო გაზეთმა „ბორჯომმა“ სიცოცხლე გააგრძელოს.

ამიტომ მოგმართავთ ჩვენი ხეობის წიგნიერ მაცხოვრებლებს, ვისაც ჯერ კიდევ გიყვართ კითხვა, შეგახსენებთ, გამოინერეთ სანდო, სამართლიანი, ფურნალისტური ეთიკის ყველა ნორმის დაცვით გამოირჩეული გაზეთი „ბორჯომი“. იგი ერთადერთია მთელ სამხრეთ-კავკასიის მხარეში, რომელიც რეგულარულად კვირაში ერთხელ გამოდის და ვრცელდება ჩვენს მუნიციპალიტეტში.

გაზეთი მკითხველის გარეშე არ არსებობს, ამიტომ მოგინოდებთ, არ დარჩეთ გაზეთის გარეშე, რომელშიც ქვეყნდება ობიექტური და სანდო ინფორმაციები, თუ გინდათ გაზეთი წინაარსობრივად უფრო საინტერესო გახდეს, მოგვწერეთ წერილები, თქვენი შეხედულებები რაიონში მიმდინარე აქტუალურ პროცესებზე გაზეთში გამოქვეყნებულ წერილების ავტორებზე, რომელიც მოგწვინათ, რომელმა ვერ დააკმაყოფილა თქვენი ინტერესი, მომავალში რომელ თემაზე გაგამახვილოთ ყურადღება. თქვენს რჩევა-შენიშვნებს ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

გაზეთ „ბორჯომს“ პრესის გამაგრებლებები ბინაზე მოგართმევენ. მთელი წლით გაზეთის გამონაწერი ღირებულება 20 ლარია. უსაშველოდ გადვირებული პოლიგრაფიული მომსახურების მიუხედავად, რედაქციას არ გაუზრდია გაზეთის ღირებულება.

გაზეთის გამონაწერა შეგიძლიათ პრესის გამაგრებლებთან და რედაქციაში ჩვენი მისამართით: ბორჯომი, ფალიაშვილის ქ. №2. ტელ. 22-29-65; 599 227 929.

გაზეთი „ბორჯომის“ რედაქცია

„ჭირს მყოფი, ლხინში უსული“

ამ ბოლო ათწლეულებში ქართველთა ის ნაწილისათვის, რომლისთვისაც სულ ერთი არ არის თუ რა მოვლის საქართველოს, ძალასა და ენერჯიას არ იმუშებენ იმისათვის, რომ სამშობლოს შეუქმნან უკეთესი მომავალი და დაუმკვიდრონ თვითმყოფადობა. დღეს, როდესაც ქართველი ხალხი პროცენტულად მსოფლიოს სხვა ხალხთან შედარებით ერთ-ერთი ყველაზე განათლებული და განვითარებულია, ჩვენი აზრით, კარგად უნდა აცნობიერებდეს დღევანდელ სიტუაციას.

აღბათ, ზოგიერთებს კარგად უნდა მოეხსენებოდეთ ის ობიექტური რეალობა, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენთანაა ტერიტორიის და მოსახლეობით მცირე ერს სულ მცირეოდენი შეცდომაც კი სახელმწიფოებრიობის დაკარგვის ფასად დაუფადება.



თუ თვალს გადავავლებთ ჩვენს ორატორიულად ის-ჩეორას, დავინახავთ, რომ ქართველ ხალხს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლა საუკუნეების მანძილზე უწყევდა. მართალია გვყავდნენ ძლიერი მეფეები, რომლებმაც მრავალჯერ ასახელეს როგორც თავიანი თავი, ისე სამშობლო, მაგრამ ეს დრო დაახლოებით 400-მდე წელს მოითვლის, დანარჩენი დრო საქართველომ ძლიერი ქვეყნების ქვეშევრდომობაში გაატარა.

ჩვენს ქვეყანას განსაკუთრებით მძიმე დრო XVI-XVII-XVIII საუკუნეებში დაუდგა ერთ დროს ერთიანი, ძლიერი საქართველო, რომელიც შიშის ზარს სცემდა ირგვლივ არსებულ მუსლიმანურ სახელმწიფოებს, იმ დროისათვის დაშლილი იყო სამ სამეფოდ და ოთხ სამთავროდ. ქართველთა ერთმანეთთან ქაშპობით და პრევენციისათვის ბრძოლით სარგებლობდნენ გარეშე თუ შინაური მტრები, რამაც საბოლოო ჯამში ჩვენი ქვეყანა განადგურებამდე მიიყვანა. მას ელოდა სპარსეთის სახანოდ ან თურქეთის საფაშოდ გადაქცევა.

საღი გონების მქონე ადამიანს კარგად მოეხსენება, სამშობლოს სიყვარულით გამოირჩეული ქართველები მეფე ერეკლე II ვინ იცის, მეფე ერეკლეს

რამდენი უძილო ღამე ჰქონდა გატარებული იმაზე ფიქრით, თუ როგორ დაეკავშირებინა ქართველთა მომავალი ბედი რუსეთისათვის... ბოლოს მან მუსლიმანურ სახელმწიფოებთან კავშირს მაინც ერთმონებრ რუსეთი არჩია და როგორც ყოველთვის, არც შემცდარა...

დღევანდელი გადასახედიანი ადვილია მისი კრიტიკა. მართალია, მაშინ საქართველომ დაკარგა სახელმწიფოებრიობა, მაგრამ შეინარჩუნა „მამული, ენა, სარწმუნოება“. მაშინდელი დაკარგული ტერიტორიების დიდი ნაწილი, როგორცაა მესხეთ-ჯავახეთი და აჭარა, რომლებიც თითქმის 300 წელი მიტაცებული იქნა ქვეყნის ტერიტორიის შემადგენელი ნაწილები, სწორედ რუსეთის მეშვეობით დაუბრუნდა დედასამშობლოს. ქართველმა ხალხმა მოიპოვა სიმშვიდე, „კაცი ყანაში შეიარაღებული აღარ მიდიოდა“. 1800 წელს რუსების მიერ ჩატარებული კამერალური აღწერით ქართლ-კახეთის მოსახლეობა 660 000 კაცს შეადგენდა.

რუსეთის შემადგენლობაში (გნებავთ ანექსია უნოდეთ) შესვლის შემდეგ თანდათანობით მოხდა დანაწევრებული და დაქუცმაცებული საქართველოს ერთ ორგანიზმად გაერთიანება, ყოველივე ამან კი საქართველოს მოსახლეობა დაახლოვდა და ერთმანეთთან შეამჭიდროვა. გამოცოცხლდა ქართული განათლება და კულტურა. სწავლის მიზნობრივად ქართველი ახალგაზრდობა უმალესი განათლების მისაღებად რუსეთსა და ევროპის უმაღლეს სასწავლებლებში მიემართებოდა. რუსეთისა და ევროპის უნივერსიტეტებში იმდენად მომზადდნენ სხვადასხვა დარგის ქართველი მეცნიერ-პროფესორები, რომ მათ ბაზაზე შესაძლებელი გახდა 1918 წელს ქართული უნივერსიტეტის გახსნა, რომელმაც სულ მალე მსოფლიოს გამოჩენილ მეცნიერთა დიდი აღიარება მოიპოვა.

საბჭოთა კავშირის წლებში საქართველო აგრარული ქვეყნიდან ერთ-ერთ ძლიერ ინდუსტრიულ ქვეყნად ჩამოყალიბდა. აშენდა მძიმე მრეწველობის ისეთი დარგები, როგორც იყო: თბილისის ელმავალმშენებელი, ჩარხმშენებელი, საავიაციო, რუსთავის მეტალურგიული,

აზოტის, ცემენტის, ბათუმის ნავთობ-გადამამუშავებელი, საკაბელომშენებელი, ქუთაისის საავტომობილო ქარხანა. აგრეთვე აშენდა ჰიდროელექტროსადგურები და სხვა... სწრაფი ტემპით ვითარდებოდა მსუბუქი მრეწველობის დარგები.

მრეწველობის განვითარების პარალელურად დანიშნულა სოფლის მეურნეობა: ქართული ღვინო, კონიაკი, ციტრუსები, ჩაი, ხილი, ბოსტნეული კულტურები... მინერალური წყალი დიდი მოხოვნილებით და მოწონებით სარგებლობდა ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებში და უცხოეთში.

ქსოვრების დარგ თანდათანობით მაღლა მიიწვედა, შრომისუნარიანი მოქალაქეებს თავიანთი უკუდნისა და უნარების მიხედვით შევქმნათ სამსახურის პოვნა, უმუშევრობა მინიმუმამდე იყო დაყვანილი. ასევე 1970-80-იან წლებში იშვიათად ნახავდით ქუჩაში ხელგანვიდილ ადამიანებს.

ჩვენს ქვეყანაში უფასო იყო ავადმყოფთა მკურნალობა. პროფკავშირები მუშა-მოსამსახურეებს თითქმის უფასოდ (საგზურის ღირებულებით 10 პროცენტად) ავზავდნენ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კურორტებზე სამკურნალოდ და დასასვენებლად.

უფასო იყო სწავლა-განათლების მიღება ყველა უმაღლეს სასწავლებელში (თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში ადგილი ჰქონდა კორუფციას). დაფიქრდით და გავისხენოთ, რამდენი ჩვენგანი დარჩებოდა უმაღლესი სასწავლებლის გარეთ, მაშინ რომ ის თანხა ყოფილიყო გადასახდელი, რასაც დღეს იხდიან?!

1988 წლის საყოველთაო აღწერით საქართველოში 5 მილიონზე ცოტა მეტი მოქალაქე ცხოვრობდა. აქედან ეროვნებით ქართველი 4 მილიონი იყო. დღეს? - ე...

1980-90-იან წლებში გარე ძალების აქტიური ჩარევით მოკავშირე რესპუბლიკებში იპოვეს რა დასაყრდენი, ფართოდ გაიშალა ეროვნულ-დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის არეალი. ვერც საქართველოს მოსახლეობა გადაურჩა ამ მოძრაობას. 1991 წელს ქართველმა ხალხმა გამოაცხადა საქართველოს საბჭოთა კავშირიდან გამოყოფა და დამოუკიდებლობა. არჩეულ იქნა დამოუკიდებელი რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოები. აქ უკვე თავი იჩინა ქართველთა გათითვაცვებამ, ერთ „სკამზე“ რამდენიმეს ჰქონდა პრეტენზია, რამაც საბოლოოდ ქვეყანა სამო-

ქალაქი ომამდე მიიყვანა. დაიკარგა სამხრეთ ოსეთი (სამაჩაბლო) და აფხაზეთი... დაიღუპა უამრავი საჯიშო ვაჟკაცი, რომლებსაც საქართველო უნდა გამეზავლებინათ, შეექმნათ დოვლათი, დაეცვათ ქვეყანა... და დიაცვადნენ კიდევ, რომ დასცლოდათ. რუსეთმა ქართველებს არ აბატი დამოუკიდებლობის გამოცხადება, ყველაფერი გააკეთა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისათვის, ჩვენი ტერიტორიების 20 პროცენტი დღესაც ოკუპირებულია.

რა მივიღებ? ხელში რა შეგვრჩა? - მრეწველობის მოსპობა, სოფლის მეურნეობის განადგურება, სამუშაო ადგილების დაკარგვა... ამას მოჰყვა მწარმოებელი ადამიანების უცხოეთში გადახვეწა საარსებო ლუკმაპურის საშუალებად. „ტყინთ გატყინო“ სხვადასხვა დარგის სპეციალისტები წავიდნენ უცხოეთში, ჩადგნენ მათ სამსახურში. დღემდე ემიგრაციაში მილიონნახევარი ადამიანი წასული.

მრავალ ქირგამოვლილი საქართველო და ქართველი ხალხი ბევრჯერ ყოფილა გამოუვლელ მდგომარეობაში, მაგრამ ხალხის შინაგანი ენერჯიის წყალობით და დღესის შენეებით გადარჩენილა და თავი დაუღწევია ყოველგვარი გაჭირვებისათვის. დღესაც სერიოზულად უჭირს ქართველობას.

თანამედროვე მსოფლიოში, არაორდინალური მდგომარეობა, შედეგობაში გაატქეს ერთმონებრ რუსეთ-უკრაინის ომი. ამ ომში მსოფლიოს მრავალი ქვეყანა უკრაინის მხარეს, რომლებიც დიდ დახმარებას უწევენ მას... დღევანდელი საქართველოს ხელისუფლება ინარჩუნებს ნეიტრალიტეტს. ადგილობრივი ოპოზიციისა და ზოგიერთი უცხო ქვეყნის ლიდერები მოუწოდებენ ქართველებს ომში ჩაბმისაკენ, რამეთუ ვითომ ამ გზით შეძლებს საქართველო დაიბრუნოს დაკარგული მიწები...

საქართველოს ხელისუფლებამ იცის, რა ნინა მთავრობობის უხეირო, წინდაუხედავი, ნაბიჯები, ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ საქართველოს და ქართველ ხალხს თავიდან ააცილოს სისხლის ღვრა, რომელსაც ჩვენი ქვეყნისათვის ახალი უბედურების გარდა არანაირი სიკეთის მოტანა არ შეუძლია. ვინ იცის, პოეტისა არ იყოს, მუდამდენედ ვართ „ჭირს მყოფი“, ვისურვებდი, სულ მალე „ლხინში შესულიყავით“.

ალგი ლოშია, მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომელი.

გავაზავსულთ „დემოგრაფიული ზამთარი“ გვინდა კი ქართველობის, ანუ საქართველოს გადარჩენა?

გვინდა თუ არა (ანუ ნებისთ თუ უნებლიედ), ჩვენი ცნობიერების წარმართველი მაინც ჩვენი ცენტრალური ტელევიზიები, პროსახელისუფლო თუ ანტისახელისუფლო არხები არიან. **მერე და საით მიჰყავთ ჩვენი მოქალაქეობრივი (ანუ ცხოვრებისეული) ცნობიერება ჩვენს ტელევიზიებს?** რაც საბჭოთა კავშირი დაინგრა, ჩვენი ხალხი და ქვეყანა არჩვენებიდან არჩვენებამდე ცხოვრობს. თურმე მთავარი ყოფილა, 200-ზე მეტი პარტიიდან არჩვენებში რომელი გაიმარჯვებს! გამოიკვეთნენ ლიდერები და მათ შორის გამუდმებული ბრძოლაა. არჩვენები დამთავრდება თუ არა, მომავალი, 4 წლის შემდგომდროინდელი არჩვენებისათვის ემზადებიან პარტიული კლანები! არჩვენების 90 პროცენტი ხომ გაყალბების მარათონით მიმდინარეობდა! პარტიების პროგრამები სავსეა უკეთესი ცხოვრების დაპირებებით, რომლებიც, როგორც წესი, არ (და ვერ) სრულდება. ზეობენ ხელისუფლებაში მოსულნი, რომელთაც ტრადიციად აქციეს, ყოველ წელს ემატებოდეთ ხელფასი!

შარშან ტელევიზიებმა ყურები გამოგვიჩვენეს შარლ მიშელის დირექტივების შესრულება-არშესრულების ძახილით, წელს კი - ევროკავშირის (ევროპარლამენტის) მიერ ჩვენთვის დაწესებული 12 პუნქტიანი დავალების შესრულება-არშესრულებით. ანტი-სახელისუფლო ტელევიზიები კვლავ სიძულვილის ნიადაგს აფრქვევენ ევროპიდან. „ომის პარტიას“ (ნაც-მოძრაობას) კვლავ საქართველოს ჩართვა სურს რუსეთ-უკრაინის ომში. **კიდევ კარგი, პრემიერი ღარიბაშვილი „მტკიცედ დგას“ და მზვიადობას ინარჩუნებს ქვეყანაში.** სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობაც ხომ ტელევიზიების მუდმივი თემაა.

ამასობაში ქართველობას (საქართველოს ხელისუფლებას) გვერდზე გვერდება უმთავრესზე უმთავრესი პრობლემა - ქართველების გამარჯვება-გადარჩენა!

სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში დემოგრაფიული ზამთარია, დემოგრაფიული კატასტროფა!

ამ ერთი თვის წინ ერთ-ერთ ქართულ სატელევიზიო არხზე ვნახე მშვენიერი

რეკლამა „დემოგრაფიული ზამთრის“ „დასაშობად“: გამოიყვანეს 10-მდე ულამაზესი ქართველი დედა, რომლებმაც თავი გაგვაცნეს მრავალშვილიან დედებად და ამაყობდნენ ულამაზესი პატარებთ. დიდი ხანია, ასე ძალიან არაფერი გამხარებია! მადლობა ამ „რეკლამის“ (კლიპის) შემქმნელებს! მე თუ მკითხავთ, **ეს რეკლამა ყველა სატელევიზიო არხს უნდა ეჩვენებინა და ეს „რეკლამა“ ევროპაზე მუდმივად უნდა ტრიალებდეს.** მთავრობას უნდა ჰქონდეს იმის უფლება (მაშ, რისი მთავრობაა!), რომ ყველა არხს მოსთხოვოს, ასეთი პროპაგანდიასტული რეკლამები აჩვენონ! მრავალშვილიანი ოჯახების სურათები გამოიკრას ყველგან, უნდა ხდებოდეს მათთან შეხვედრები და ა.შ.

ამას წინათ ჩვენი გაზეთის რედაქტორმა ბატონმა **ვალერიან ლომიძემ** „ბორჯომში“ გამოქვეყნებულ შესანიშნავ ნერილში განგამის ზარები დაარისხა ჩვენს ქვეყანაში შექმნილი კატასტროფული ვითარების გამო. მოყვანილია მრავალი საგანგაშო სტატისტიკური მონაცემები, მაგალითად, თუ გასული საუკუნის 90-იან წლებში საქართველოში 454 ათასი გოგონა დაიბადა, 2003 წელს მხოლოდ 226 ათასი, 2020 წელს კი მხოლოდ 46520(!) ახალშობილი დაიბადა. 2020 წელს გარდაცვლილთა რაოდენობამ, პირველად ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, გადააჭარბა ახალშობილთა რაოდენობას. მიმდინარე წლის იანვარ-ივნისში სამცხე-ჯავახეთში დაიბადა 682 ბავშვი, ხოლო გარდაიცვალა 1104 ადამიანი, ბორჯომში ამავე პერიოდში 116 დაიბადა, გარდაიცვალა 226(!), ესე იგი, თითქმის ორჯერ მეტი. ასევეა სრულიად საქართველოში.

ცნობილი დემოგრაფი, 83 წლის პროფესორი **ანზორ თოთაძე** ამბობს, რომ 10 წელზე მეტია განგამის ზარებს არისხებს ქართველთა დემოგრაფიულ კატასტროფაზე, მაგრამ „ყურს არავინ იბერტყავს“-ო.“

ბექდურ თუ ელექტრონულ მედიაში პერიოდული „ამოკვნილება“ დემოგრაფიულ კატასტროფაზე ნამდვილად არ კმარა! გაერომ 2050 წლისთვის ქართველობა რომ მომავლად ვერად გამაცხადებდა, ამან ძალიან შემძრა და მეცაქერე ლექსი **„ვედრება**



უფლისადმი. ეს ლექსი ჯერ გაზეთ „ბორჯომში“, შემდეგ „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაიბეჭდა უჩა გოგოლაურის ფსევდონიმით. (24 სექტემბერი 2021 წ.). ამ ლექსის გამო მრავალი პატრიოტი ადამიანი (ძირითადად და, სამწუხაროდ, მხოლოდ ხანდაზნულები) ტელეფონით გამოიხეზა-მარა, მაგრამ რა? საქართველოში ეს გაზეთი და ჩემი ლექსი ნაიკითხა ალბათ რამდენიმე ასულმა ადამიანმა. ეს საკმარისია? მერე ყველაფერი ჩაქრა და ჩაჩუდა. იქ ვწერდი: **„განგამის დაგარისხოთ დედო ზარი: „არქა, ქართველებო, ვიღაუბებით!“ რომ: „კარს სხვა მოგზადომია თემურ-ლენგი, სასწორზე დადებული ქართველთა ბედი“ და ა.შ. განა მართლა ასე არ არის? მაგრამ როგორ მივანვიდინოთ ეს ხმა ყველა ქართველის გულამდე და ყურამდე? და აქ პროპაგანდიულმა საშუალებებმა, პირველ რიგში ტელევიზიებმა, უნდა დაარისხონ განგამის ზარების თანაც - სისტემატიურად, თითქმის გამუდმებით!**

ბატონი ვალერიანი თავის ნერილში, ერთ დამაბეჭდებელ ინფორმაციას აწვდის მკითხველს: ბორჯომის მერს ბატონ **ოთარ არბოლიშვილს** უთქვია მისთვის: მომავალი წლიდან ყოველ ახალშობილზე დედებს 1000 ლარით დავსაზღვრებთ! ეს კარგია, მაგრამ **ეს მხოლოდ ერთი და პირველი ნაბიჯია!** საქაროა ადმინისტრაციულმა ორგანოებმა გაატარონ მთელი რიგი ღონისძიებები. მაგალითად, სოფლებში რწმუნებულებმა აღრიცხონ რამდენი ახალგაზრდა დასაოჯახებელი, თითოეულს გამოიკითხონ დაუოჯახებლობის მიზეზები. ასევე

აღირიცხოს დაბეჭდის და ქალაქებში, შეიქმნას „გაცნობის კლუბები“ (და არა „ლაშის კლუბები“). ადრე გაზეთებში ქვეყნდებოდა განცხადებები, რომ „ვეძებ საქმროს“, „ვეძებ საცოლეს“ და ა.შ. რატომ აღარ ქვეყნდება? ამაზე სატელევიზიო გადაცემებიც იყო. უნდა აღდგეს ასეთი გადაცემები! ამაზე კარგ საქმეს რას გავაკეთებთ?

ჩვენს ზემოდასახელებულ ლექსს კომენტარაც დაევრთე. იქ ვწერდი: ჩვენებმა დაიფიცეს, ყველა ოჯახს ყოლოდა მრავალი შვილი და ეს ფიცი შეასრულეს(!) ქართველ ახალგაზრდობას და ახალდაოჯახებულებს მოუწონდები: „ფიცი და რწმენა ცხოვრებაში უმთავრესია. ახალგაზრდა მეუღლეებმა ერთმანეთს და ღმერთს უნდა შეჰფიცონ, რომ მრავალ შვილს იყოლიებენ. მთავრობამაც სოციალური დახმარება 2-3 ჯერ გაუზარდოს და ამ საქმეში ჩართოს ჩვენთან მომრავლებული მილიონერები!“

სულ ახლახან გამოგნებული ინფორმაცია მოვისმინე ტელეეთერიდან: ომის 9 თვის განმავლობაში უკრაინაში შეიქმნა 200 ათასი ოჯახი(!). ჩვენი რა გვჭირს ქართველებს??

„თუ გული გულობს, ქადა ორი ხელით იჭმევით“. გადავარჩინოთ და შევინარჩუნოთ ჩვენი ჯიშო, ჩვენი მოდგმა, ქართული ენა, ჩვენი ტრადიციები! ბოლოს და ბოლოს, გადავარჩინოთ ჩვენი საქართველო! ჩემი ლექსიდან განსაკუთრებით ეს სტროფი მოეწონათ მკითხველებს:

„უფალო, გადმოგვაფარე შენი კალთა, მოგვფინე მზის სხივები საალერსო, სანამ იარსებებს მოდგმა კაცთა, ჩემი ქართველობაც აარსებე უშანბი ჯანბირაშვილი,

P.S. უნდა აღსდგეს და განვითარდეს მაჭანკლობის ინსტიტუტი. რამდენი გასაბნობი გოგონა და უცოლო ბჭი ელოდება ვინმე უჩინარ დამხმარეს!“ და ეს არის - მაჭანკალი.

P.P.S. გაზეთ „ბორჯომის“ თანამშრომლებს, მკითხველებს და სრულიად საქართველოს ვულოცავ დამდეგ ახალ წელს! ვისურვებდი: დღეიდან და ვიფიქროთ და ვიზრუნოთ არა მარტო ჩვენს ქვეყანაში მშვიდობის შენარჩუნებისათვის, არამედ უმთავრესზე: ქართველთა მოდგმის შენარჩუნება-გამარჯვებისათვის!

უ.ჭ.

წინასახალწლო სამზადისი

ახალი წელი ყოველთვის განსაკუთრებულ საზეიმო მსახურს მოლოდინს იწვევს. ბორჯომში, სხვა ქალაქების მსგავსად სულ მალე ათასწლეულად მოიხატება. და კომპანია ქუჩები უფრო დამზვენდება. თუ რა პროგრამით შევხვდებით და რომელი კულტურული ღონისძიებებით გაგვიმასპინძლებს საახალწლოდ ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია, ამაზე გვესაუბრება ბორჯომის მერიის კულტურის განყოფილების ხელმძღვანელი, შალვა ზომბიძე.



შალვა ზომბიძე

„წელს, ვაშლოვანის დასახლებიდან ქალაქის მთავარი ცენტრის ჩათვლით გრანდიოზული, მრავალფეროვანი წინასახალწლო განათებები დამონტაჟდება. ღონისძიებები და ნაძვის ხის ანთების ცერემონია გადაინაცვლებს კოსტავას ბაღის ტერიტორიაზე - ახლადრეაბილიტირებულ სკვერში. დიდი ალბათობით, 25 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე განათდება საზეიმოდ, როდესაც ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფები წარმოადგენენ თავიანთ ხელოვნებას. 31 დეკემბერს ამავე ტერიტორიაზე საახალწლო განწყობისთვის აუღერდება მუსიკა. საღამოს კი სანტა შემოუვლის პატარებს ტკბილეულით, ანიმატორებით გაერთობიან ბავშვები, შემდეგ გაიმართება გალა კონცერტი, რა დროსაც ქალაქის პირველი პირები მიულოცავენ მოსახლეობას დამდეგ ახალ წელს. ვეცადეთ, სიურპრიზიც იყოს, ჯერ არ ვახსოვრებ. გვინდა წარმატებული დამსახურებული პროფესიონალები ჩაერთონ დაჯილდოების ცერემონიაში, რომლებმაც ბორჯომის გარეთ გაიტანეს ჩვენი ქალაქის სახელი. დასკვნით ნაწილში ჩამოვა ჯგუფი „რეგიონი“ თავის რეპერტუარით, რომელიც ახალგაზრდების უმეტესობას ძალიან მოსწონს. საკუთრივ, 12 საათზე კი ბორჯომში აგუგუნდება „მრალეამიერი“. არ გვინდა გამოგვრჩეს ისიც, რომ ტრადიციულად, ყოველი წლისათვის ტკბილეულით დატვირთული სანტა ააკითხავს ბორჯომის მუნიციპალიტეტში შემავალი მალაქითიან ზონის სოფლებს“.

კულტურის პროექტი კლასიკური მუსიკის კონცერტი



ბორჯომის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლის დარბაზში ცნობილი პედაგოგის და პიანისტის მარინა რაბიანის მოსწავლეები: ლიზა ხაჩიძის, ოთარ ოთარაშვილის და ბარბარე მარიაძის მონაწილეობით კლასიკური მუსიკის კონცერტი გაიმართა. კონცერტზე დამსწრე საზოგადოებას ჰქონდა საშუალება, მოესმინა კლასიკური და რომანტიკული ეპოქების ყველაზე თვალსაჩინო კომპოზიტორების ნაწარმოებები, როგორებიც არიან: ბახი, ბეთჰოვენი, შოპენი, რახმანიოვი, ლისტა და სხვა. კლასიკური მუსიკის კონცერტს ესწრებოდა ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველი კულტურის დარგში გიორგი ბუგინი-ილინი და კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განყოფილების ხელმძღვანელი შალვა გოგოლაძე.

შეაჯამებელი ღონისძიება კულტურის სახლში

ბორჯომის შოთა რუსთაველის სახელობის კულტურისა და ხელოვნების ცენტრში წლის შემაჯამებელი ღონისძიება გაიმართა. აუდიტორიის წინაშე ცენტრთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლები: „იმედი“ და „ფერისი“, თანამედროვე და სპორტული ცეკვების ჯგუფი „სილუეტა“ და საესტრადო სტუდია „ნიბლია“ წარსდგნენ. ღონისძიებას ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით ზაალიშვილი, კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საკითხთა კომისიის თავმჯდომარე მამუკა ლურსმანაშვილი, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე ლევან თედიაშვილი და მისი მოადგილე მამუკა სითარიშვილი ესწრებოდნენ.



სახალწლო პრიზმატაგის უახლესი საბრძანებლო გაზრდილი

სულ რამდენიმე დღეც და ახალი 2023 წელი შემოაღებს კარს. ამ დღესასწაულის აღსანიშნავად ყველა განსაკუთრებულად ემზადება. რაც ქართული ახალი წლის სუფრას გამოარჩევს სხვა ქვეყნის სუფრისაგან. მარკეტებსა თუ დახლებზე უკვე შეინიშნავით საახალწლო სუფრისთვის აუცილებელ პროდუქტებს. სამწუხაროდ, წინა წლებთან შედარებით როგორც გარემოვაჭრები, ასევე მარკეტების მფლობელებიც კარგა ხანია საუბრობენ სურათზე გაზრდილ ფასებზე. ბორჯომში არსებულ ერთ-ერთ დიდ სუპერ მარკეტში ყველა ის პროდუქტი, რაც საახალწლო სუფრაზე აუცილებლად უნდა იყოს, ამ პროდუქტების მთლიანი ღირებულება დაახლოებით 180 ლარამდე ჯდება, რომელშიც სამწუხაროდ, ხილი და ბოსტნეული არც კი შედის და მათ საყიდლად მოსახლობას სულ მცირე დამატებით 70-80 ლარის გადახდა მოუწევს. ჯამში თუ დავინაგარიშებთ, საშუალო ღირებულების სუფრა, 250 ლარამდე მაინც დაჯდება. სამწუხაროდ, მოსახლეობის უმრავლესობა გაძვირებულ ფასებზე ხმამაღლა საუბრობს:



ნილი სარალიძე: - გასულ წელთან შედარებით ყველაზე მეტად ხორცია გაძვირებული, რძის პროდუქტებიც გაძვირდა. იმ რაოდენობისას, რასაც გასულ წლებში ყვდილობდი, ვეღარ ვიყიდი. უბრალოდ სიმბოლურად შევიძინე. გურამ მარიაძე: - ნიგოზი კატასტროფულადაა გაძვირებული, ყველიც, მაგრამ იძულებული ვარ, რომ მაინც შევიძინო, რადგანაც ეს ჩვენი ტრადიციაა.

მაგდა ნინოშვილი: - ყოველთვის ახალ წლამდე ვიძენ ყველაფერს, მერე მგონია, რომ უფრო ძვირდება ყველაფერი. ამიტომაც ადრე ვიკავებ თადარიგს. სხვა რა გზაა. ტკბილეული და ხილი აუცილებელია. თამაზ გოგოლაძე: - რაც უკრაინის ომი დაიწყო, მას მერე საგრძნობლად გაძვირდა ყველაფერი. ხელფასები იგივე დარჩა, მაგრამ ხალხი მაინც იძულებულია, რომ იყიდოს გაძვირებული. თამუნა ჩოჩიძე: - ჩურჩხელა, გოზინაყი და საცივი საახალწლო სუფრის ატრიბუტია, თუმცა აღნიშნული პროდუქტები ყველაზე ძვირი ღირს ამ წელს. მცირედი რაოდენობით შევიძინე. სხვა რა გზაა.

ნატო ბელიძე

გაზეთ „ბორჯომის“ რედაქციის თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა, ყოფილი სტამბარედაქციის ვეტერანი პოლიგრაფისტი ბალონ პაჩინა ჩაუნელი და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

პოეზიის კითხვა აბ დაუთმით თავისუფლება

ამბობენ „თავისუფლება“, რაც გინდა ბევრი აკეთო, ბოლომდე უნდა დაცვალო, სიამოვნების ფიალა, ოღონდაც ნუ დაიჯერებ, ეს შეცდომაა, ტყუილი, ეს მონობაა ზორცისა, თავისუფლება კი არა.

ეს არის ცოდვის მონობა, რითაც გაცდუნებს ეშმაკი, ჩავთრევს ბინძურ მორევში და მისი კერძი გახდება, თავისუფლება ის არის, მხოლოდ შეილობა უფლისა, როცა ზეცისკენ მიიღტვი, როცა უფალში სახლდები.

და რადგან იგი წმინდაა, ჩვენც უნდა ვიყოთ წმინდები, სიწმინდეს იცავს ოჯახი, ის მცირე ეკლესიაა, ჩვენ გამარჯვებულ ომში ვართ, უფალს ვერავინ აჯობებს, ის გამარჯვებული სამყაროს, მეუფე და მესიაა. არ დაეთმოთ თავისუფლება, ეს არის ჩვენი მისია!

ოლიკო ლომიძე.

წინასახალწლო თხიზნა მისახლეობას

მისახლეობას ნებისმიერ მარკეტში და თუნდაც ქუჩაში შეუძლია შეიმოსოს ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე პროტექცია, არა მხოლოდ საახალწლოდ არამედ გართობის მიზნით გამოიყენოს ახალ წლამდე და სკოლის ეზოებში, თუ ქუჩებში, სხვადასხვა დანესე-

ნაფიცი, სად დაიბუღონ. აბინ-ტურებთ პერს, გარემოს კიდევ უარაფერი მიზნის ჩამოთვლა შეუძლებელია გარეშე პროტექცია, არა მხოლოდ საახალწლოდ არამედ გართობის მიზნით გამოიყენოს ახალ წლამდე და სკოლის ეზოებში, თუ ქუჩებში, სხვადასხვა დანესე-

ბულების წინ ააფეთქოს. ძალიან ბევრჯერ უკვე წლებია ყველა შევნიშნავთ, როგორ ყიდულობენ არასრულწლოვნები ასაფეთქებლებს ბორჯომის ცენტრალურ მოედანზე და სკვერში აფეთქებენ. ეს თამაში საზოგადოებრივი მოქალაქეთა განსაკუთრებით კი არასრულწლოვნთათვის. სამწუხაროდ, არავითარი კონტროლის მექანიზმი არ არსებობს რამდენად ხარისხიან და უსაფრთხოა შემოტანილი ასაფეთქებლები ამეროკსა და ეროპის ქვეყნების მაგალითზე კი შემიძლია ვთქვა, რომ მოქალაქეებს პირადად აკრძალული აქვთ მათი გამოყენება საახალწლოდ, ფოიერვერკების ხილვა მხოლოდ ოფიციალური დანესეებულების წინ, საახალწლო ღონისძიებებზე შეუძლია.

- წინასახალწლოდ, თუ ვინმე ფულს დახარჯავთ პროტექციის შესაძენად, შეილებს ამ ფორმით გახარებას გადაწყვეტთ, იცოდეთ, რომ ბოროტებას ჩადისართ. გულს უხეთქავთ ჩვილ ბავშვებს, გულსისხლძარღვთა და სხვა მძიმე დაავადებების მქონე ადამიანებს, უმეო ცხოველებს, ჩიტებს, რომლებიც კამკამა სინათლეზე და მხაურზე იშლებიან და სიბნელეში ვეღარ ხედებიან, სად

ნეთ, - წერს ჟურნალისტ ეკატერინე ლომიძე. ახლა კი გაგაცნობთ ახალი წლის მონაცემებს, თუ რამდენად „მშვიდი“ იყო საზეიმო განწყობა დაიღუპა ერთი ადამიანი; მარშან 31 დეკემბერსა და 1 ჟელ იანვარს საქართველოს მასშტაბით პროტექციის დაზიანების 51 შემთხვევა დაფიქსირდა; დაინვა 3 ავტომობილი და 3 ავტოფარეხი, დაინვა სამწმენდო ობიექტები; დაინვა სახლი დღობის მასივში; დაინვა გორის მთავარი საახალწლო ნაძვის ხე ცეცხლი გაუწდა თბილისის საახალწლო ნაძვის ხესაც პაერის დაზინიურება ნორმაზე 50 ჯერ მაღალი იყო.

პროტექციას უთხარი არა! საზოგადოება წერს, მოვიტოვოთ, რომ ხელისუფლებამ მიიღოს ზომები და აკრძალოს ეს საშიშრო, მჭეხელი ტრადიციად ქვეული ასაფეთქებელი პროტექციის შემოტანა-გაყიდვა.

12 საათზე ჩვილ ბავშვებს ძინავთ და ამ დროს „ბომბები“ სკდება ყველა მხარეს, შიშით ველოდებით ახალი წლის ღამეს. არადა, რაც დრო გადის, უფრო მძლავრი ასაფეთქებლები შემოაქვთ და სამწუხაროდ, დასაზიარების გარეშე არ მთავრდება ეს ზემომდროა, აკრძალოს პროტექციის აფეთქებით ახალი წლის დადგომა საქართველოში!

ბორჯომი უნივერსიტეტის მოსახლეობა

ჩვენო საყვარელო, დაუვინყარო გიორგი რაც დრო გადის უფრო და უფრო გვიჭირს უშენობა.

იყავ პატარა, ჯერ თხუთმეტი წლისა, ლალი, ლამაზი, ქორრა ბიჭი.

გეყვარა ყველა, უყვარდი ყველას, სიკვდილი შენთან ჯერ ადრე იყო. რა იყო ის დღე, როცა თბილისს წახვედი ბერი გენგენე არ გამოგონე, ისე წახვედი, უკან არც მოგიხედავს, ბებო, მალე ჩამოვალ, ნუ იჯავრებო. ვერ დავიშალე, წასვლა გინდოდა, ვიფიქრე, წავა მშობლებთან და დაბრუნდება. და აი, დაბრუნდი, თანაც როგორი... რას ვიფიქრებდი, წახვედი სალი, ლამაზი, და დავგიბრუნდი სიკვდილისგან დამარცხებული... ეს ამბავი იყო ყველასთვის მეხის გაგარდნა. ბელმა ვიმტყუნა, ეშმაკმა გელია - გაგიტყუა და დაგამარცხა... პატარა იყავ, თხუთმეტი წლის, უნდა გეცოცხლა, მაგრამ ბელმა რა ვიყო, უბედობამ დაგალო ხელი, ადრე დახურე შენი ცხოვრების ფურცელი.

31 წლის იქნებოდი ახლა, თექვსმეტი წელი გავიდა, წახვედი და დაგვიტოვე ჯავრი, და მეტი არავფერი.

ნათელიში იყავი, ჩემო გიორგი. მსუბუქი იყოს შენს გულზე დაფრთხილი ბაკურიანის მინა ამინი შენი მირი ბაშო

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59

გაზეთის დამფუძნებელია რედაქციის კოლექტივი. რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.

მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის ქ. №2 ტელ: 22-29-65. იმეჭდება შპს გამოცემლობა „საარზი“. ქ. თბილისი, თედორე მღვდლის ქ. №57.

borjomi@inbox.ru რედაქტორი: პალმრინა ლომიძე